

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

- I. **სახელწოდება:** ფილამწობი
- II. **სარეგისტრაციო ნომერი:** 07304-პ
- III. **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** ფილამწობის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
- IV. **საკანონმდებლო ბაზა:**
- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
 - ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
 - ფილამწობის პროფესიული სტანდარტი
- V. **დაშვების წინაპირობა :** საბაზო განათლება
- VI. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს სამშენებლო კომპანიაში, ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციაში, რომელიც აწარმოებს სხვადასხვა ზედაპირების ფილებით მოპირკეთებას. შესაძლებელია იყოს თვითდასაქმებული.
- VII. **მიზანი:**
პროგრამის მიზანია მისცეს პირს შესაძლებლობა დაეუფლოს ფილამწობის სპეციალობისათვის საჭირო ცოდნას, გამოიმუშაოს შესაბამისი უნარები და კომპეტენციები. შეძლოს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. იყოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი.
- VIII. **სწავლის შედეგები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:
- გარემოს ორგანიზება სამუშაოების საწარმოებლად
 - კედლის და იატაკის ზედაპირების მომზადება ფილებით მოსაპირკეთებლად
 - ფილის დამუშავება
 - ზედაპირის მოპირკეთება ფილებით და მოზაიკით
- IX. **ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება:**
საგანმანათლებლო დაწესებულებამ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავა ფილამწობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა.
- შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ყველა სავალდებულო ზოგად და სავალდებულო პროფესიულ მოდულს. ითვალისწინებს არჩევითი სტატუსის მოდულებს ამავე პროფესიული პროგრამის მოდულების კრედიტთა საერთო მოცულობის არაუმეტეს 20 %-სა.

X. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები :

„მოდულის „ქართული ენა A2“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება #152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლება იწყება „ქართული A2“ მოდულით.

- მოცულობა: 80 კრედიტი
- ხანგრძლივობა: 16 სასწავლო თვე (63 კვირა)

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი მოდული/მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
ინფორმაციული წიგნიერება 1	3	გაცნობითი პრაქტიკა-ფილამწყობი	2	მარტივი მოზაიკური პანოების აწყობა	3
რაოდენობრივი წიგნიერება	2	საწარმოო პრაქტიკა-ფილამწყობი	8	სამშენებლო ნახაზების კითხვა და სქემების შედგენა	3
ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3	პრაქტიკული პროექტი-ფილამწყობი	5	წყალმომარაგების ელემენტები	6
მეწარმეობა 1	2	შრომის დაცვა და უსაფრთხოების ტექნიკა ფილამწყობისთვის	1		
უცხოური ენა	4	სამშენებლო ნახაზების წაკითხვა და გაანგარიშება ფილამწყობისთვის	5		

სამოქალაქო განათლება	2	ზედაპირის ფილებით მოპირკეთებისათვის საჭირო მასალები და ნაზავების მომზადება	5		
		ფილის დამუშავება	4		
		კედლის მომზადება ფილებით მოპირკეთებისათვის	6		
		კედლის მოპირკეთება ფილებით	5		
		იატაკის მოზადება ფილებით მოპირკეთებისათვის	4		
		იატაკის ზედაპირის მოპირკეთება ფილებით	4		
		ზედაპირის მოპირკეთება მოზაიკური ფილებით	3		
სულ:	16	სულ:	52	სულ:	12

XI. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება:

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

XII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ პროფესიული კოლეჯის „ლაკადა“ პრეროგატივას.

XIII. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - XII პუნქტით გათვალისწინებული წესით.